პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 171 (5201)

29 აგვისტო, ხუთშაბათი. 1984 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ასპარეზობენ ფანვარჯიოის ვარსკვლავები

ვილნიუსი, 27 აგვისტო. დღეს ლიტვის დედაქალაქში სტარტი აიღო სსრ კავშირის თასის გათამაშებამ და ქვეყნის ჩემპიონატმა ტანვარჯიშული მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. შეჯიბრების საზეიმო გახსნისას წაიკითხეს წერილი, რომლითაც ლ. ი. ბრეჟნევს მიმართავენ ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ტურიშჩევა, ნ. ანდრიანოვი, ო. კორბუტი და ვ. კლიმენკო.

„თქვენმა გულთბილმა წერილმა ნატაშა პოპოვასადმი, წერენ ტანმოვარჯიშეები, — ტურნირის ყველა მონაწილე დიდად აღფრთოვანებულია. ვეცდებით ამ ზრუნვასა და ყურადღებას მაღალი შედეგებით ვუპასუხოთ“.

სპორტის სახახლის სარბიელზე აფრიალდა სსრ კავშირის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ჩილის ალმები. ამით საბჭოთა სპორტსმენები სოლიდარობას უცხადებენ ჩილის მშრომელ ხალხს, რომელიც აგერ უკვე წელიწადია იტანჯება ფაშისტური ხუნტის უღელქვეშ. გაისმის ჩილის ხალხის რევოლუციური მელოდიები, ლიტველი კომპოზიტორის მ. ტამოშიუნასის „დაუმთავრებელი სიმღერა“, რომელიც ხუნტის მიერ მოკლული ჩილიელი თავისუფლების მომღერლის ვიქტორ ხარას ხსოვნას ეძღვნება.

ხუთი დღის მანძილზე — 27-31 აგვისტოს ტანმოვარჯიშეებმა ბევრი ჯილდო უნდა გაითამაშონ: ხუთი საკავშირო თასი — ორი პირად ჩათვლაში და სამი — გუნდურში (პირველად), მედლების ათი კომპლექტი ცალკეულ იარაღებზე. ვილნიუსის ტურნირი ამავე დროს ევროპრალური რეპეტიციაც იქნება მსოფლიო პირველობის წინ, რომელიც ვარნაში უნდა ჩატარდეს ოქტომბრის დამლევს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ლიტვის დედაქალაქში თავი მოიყარა საბჭოთა ტანვარჯიშის ყველა ვარსკვლავმა. ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოდის მხოლოდ მინსკელი ვ. შჩუკინი.

შემადგენლობის მხრივ, შეიძლება ითქვას, ყველაზე სოლიდურია რსფსრ-ს გუნდები: ქალები — ლ. ტურიშჩევა, ს. გროზდოვა, გ. პარშინცევა, ე. პრიმაკი, ა. გლებოვა, მ. ოსტანინა; ვაჟები — ნ. ანდრიანოვი, ვ. მარჩენკო, ვ. ფოგელი, ბ. კინოვი, ა. ტრიფონოვი.

პირველივე დღეს, სავალდებულო პროგრამის შესრულებისას, ვაჟთა შეჯიბრების ფავორიტებს სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ბელორუსიის გუნდმა (საუცხოო ფორმაშია გუნდის ლიდერი ა. მალეევი) და მოსკოველებმა, რომელთა შემადგენლობაშიც ისევ გამოდის ვეტერანი ს. დიომიდოვი. რუსეთის ტანმოვარჯიშეები „სკოლაში“ ბელორუსიელებს ქულის ნ მეასედით ჩამორჩნენ კადეც. ბელორუსიელები თავისუფალ ვარჯიშს მუსიკის თანხლებით ასრულებდნენ.

წინათ მუსიკას მხოლოდ ქალები იყენებდნენ, ახლა კი ვაჟებმაც მიბაძეს მათ. ვაჟებისთვის მუსიკა სავალდებულო არ არის, მაგრამ სასურველი კი. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობენ ბელორუსიელი ტანმოვარჯიშეები (276,65 ქულა) და ნ. ანდრიანოვი (56,65). მოსკოველებმა 274,8 ქულა დააგროვეს.

მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი ისეთი ბრწყინვალე დუეტების შეჯიბრებაში, როგორიც არიან ტურიშჩევა — ო. კორბუტი, ანდრიანოვი — კლიმენკო. ამ გაზაფხულზე დონის როსტოვში მრავალჭიდში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში, როგორც ცნობილია, ანდრიანოვმა და კლიმენკომ I ადგილი გაიყვეს, ტურიშჩევამ კი კორბუტს გაუსწრო. გროდნოელ სტუდენტს ო. კორბუტს მტკიცედ აქვს

(დასასრული მე-4 გვ.).

ძმები ზნამენსკენების მემორიალზე

მხოლოდ იუნიორებისთვის?..

27 აგვისტოს მოსკოვში დამთავრდა ძმები ზნამენსკენების მემორიალი. მთავარი პრიზები მოიპოვეს საბჭოთა მორბენლებმა — ნ. ოადოსტევმა (მოსკოვის ოლქი, 5 კმ), ა. ანდრუსენკომ (კრასნოდარი, 1500 მ) და ავსტრიელმა სტაიერმა ი. შტაინერმა (10 კმ).

ასპარეზობის დასკვნითი დღის შედეგებიდან შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ რიჭელი ი. ვარლსონის მაჩვენებელი სიმაღლეზე ხტომაში — 221 სმ. „ფოსბიურის სერხით“. კარლსონი უდავოდ ძლიერი სიმაღლეზე მხტომელია, მაგრამ შუა სეზონში ტრავმებმა შეაწუხა.

კარგად გამოვიდა, აგრეთვე, მოსკოველი ე. პერეკვერზევი 110 მეტრზე თარჯრბენში. მან სამჯზის გაიმეორა სსრ კავშირში სეზონის საუკეთესო მედეგი — 13,7. კარგი მედეგი აჩვენა ყაზანელმა რ. იზმაილოვამ 800-მეტრიან დისტანციაზე — 2.04,0. სტუმრების ყველაზე დიდი მიღწევა იყო 18 წლის ბ. მიულერის (გდრ) გამარჯვება ხუთჭიდში — 4443 ქულა.

შეჯიბრება ახალგაზრდული იყო — 22 წლამდე ასაკის სპორტსმენებისათვის. უფროსები ამ ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ და ცხადია, არც ერთ პრიზზე არ აყენებდნენ პრეტენზიას. რასაკვირველია, იუნიორთა შეჯიბრებები საჭირო, თუკი გვსურს მძლეოსნობის ხვალინდელი დღისთვის ვიზრუნოთ, მაგრამ განა შეიძლება ამას მსხვერპლად შეწიროს საკავშირო კალენდარის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზობა, რომელიც, სხვათა შორის, საერთაშორისო კალენდარშიც არის შეტანილი?

ჩვენი აზრით, იუნიორთა შეჯიბრება ცალკე უნდა ტარდებოდეს, ზნამენსკენების მემორიალი კი მემორიალად დარჩეს.

ბ. ბუხოვცევი.
(საკდენის კორ.).

სურათზე: 5000 მეტრზე რბენის მომენტი.

ი. მორგულისის ფოტო.

უველგანმავალი... იალგუზზე

ელიასოვსკის საავტომობილო ქარხნის ყველგანმავალთა კოლონა, იალგუზზე ავიდა. ასვლას ხელმძღვანელობდა ნალჩიკელი სპორტსმენ ოსტატი ა. ბერბერაშვილი, რომელმაც მანამდე მოტოციკლით დაიპყრო ეს მწვერვალი. უაზ-469 მარკის ყველგანმავალებმა შესანიშნავი თვისებები გამოავლინეს. უგზოობის პირობებში მწვერვალზე ასვლისთვის მათ სულ 3მ წუთი დასჭირდათ.

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲡᲐᲞᲐᲠᲘᲗᲘ

ამას წინათ კასპის ფეხბურთის მინდორზე მოავლეა სპორტის მოყვარულმა ბიოკარა თაკი. ჩატარდა ოიონის მოროძელთა საფვაოელი შეჯიბრება ქართულ ეროვნულ საბჭოების გუნდებს შორის შინძოუსვლელთა გარდაცვალ თასზე. ამ ტურნირს საფუძველი ექვსი წლის წინათ ჩაეყარა ძეტეხის სასოფლო საბჭოს ძუშაკთა თაოსნობით და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება. ბოლო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ყარაღაჯის, მეტეხის, დოესის, ხოვლეს, ქვემო ჭალის, ლამისყახისა და კოდისწყაროს სასოფლო საბჭოების ნაკრებმა გუნდებმა. ასპარეზობის დაწყების წინ რაიონის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო სსრ კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს საბავშვო ტს, მსოფლიო ჩემპიონს ოსეან ძალალაშვილს, რომელიც წარმოობით მეტეხიდანაა. ამ შეხვედრაზე გამოსულებმა ილაპარაკეს სახელოვანი სპორტსმენის წარმატებებზე, მიულოცეს მას დიდი გამარჯვება...

მერე კი ზურნისა და დოლის ხმამ ძოედანზე შეკრებილთ ზრძოლას დაწყება აცნო. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ხოვლეს, დოესის, ყარაღაჯისა და მეტეხის საბჭოებმა.

საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის ყველაზე დიდი შანსი ჰქონდათ თასის ორგზის მფლობელს დოესის სასოფლო საბჭოს მოჭიდავეებსა და ხოვლეს გუნდს. ისინი გავიდნენ კიდეც ფინალში. აქ კი ბრძოლა ხოვლელმა მოჭიდავეებმა მოიგეს — 4:3. შინმოუსვლელთა თასმა დოესიდან ხოვლეში გადაინაცვლა.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).



✦ ჩოხატაური

ბახმაროში გაიმართა მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც 14 სპორტსმენი მონაწილეობდა. 12 ქულით გაიმარჯვა მახარაძის საშუალო სკოლის მოსწავლემ ს. ტრაპაიძემ. II ადგილზე გავიდა ლანჩხუთის საშუალო სკოლის მოსწავლე ა. გოგუაძე — 11 ქულა. 10,5 ქულა მოაგროვა ა. გოგუაძის ძმამ ტ. გოგუაძემ. ტურნირში გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ წიგნებითა და ჩოხატაურის სპორტკავშირის სპორტული სიგელებით.

ვ. ფიქორია.

✦ აბაშა

დოსაფის რაიონულმა კომიტეტმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიუძღვნა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა საწარმოდაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 20 გუნდი. გუნდური პირველობა მოიხვეჭა ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის კოლექტივმა. პირად პირველობაში გაიმარჯვა ამავე ქარხნის წარმომადგენელმა ა. მიქელაძემ. შეჯიბრებაში ნაჩვენებია 23 მესამე თანრიგის შედეგი.

რ. ჭანტურია.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲣᲚᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

კალიარი, 28 აგვისტო. დაიწყო კალათბურთელ ქალთა ევროპის პირველობის ფინალური ტურნირი. როგორც ცნობილია, გადამწყვეტ ეტაპზე ბრძოლას განაგრძობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, რუმინეთისა და იტალიის გუნდები. ამათგან სამ კოლექტივს (სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი) ფინალში გადაყვანა ჯგუფურ ტურნირებში მოგებული თითო ძატჩის შედეგი (უახლოეს მეტოქესთან), ასე რომ, საბჭოთა კალათბურთელებს უკვე აქვთ ქულა უნგრეთთან (80:64), ჩეხოსლოვაკიელებს — ფრანგებთან (53:48) და ბულგარელებს — რუმინელებთან (79:69) გამარჯვებისთვის.

გუშინ შედგა 11 ტურის მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის გუნდებს შორის (იტალიელებს, როგორც ჩემპიონატის მასპინძლებს, ჯგუფურ ტურნირში არ უთამაშიათ). იტალიელებმა მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ ტაიმში (წააგეს 3 ქულის სხვაობით — 27:30). შესვენების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის გუნდის უპირატესობა აშკარა იყო. მატჩის საბოლოო შედეგია 60:40.



ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲪ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ

ბონა, 27 აგვისტო. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა — სსრ კავშირის კალათბურთელ ვალერა ნაკრებმა კიდევ. ერთი გამარჯვება მოიპოვა აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში — ეროვნებათა თასის გათამაშებაში. ამჯერად მან პუერტო-რიკოს ძლიერი გუნდი დაამარცხა — 87:60.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კალათბურთელებმა პირველ ტაიმი 17 ქულის უპირატესობით მოიგეს (48:31), მეორეში კი ამ სხვაობას კიდევ 10 ქულა დაამატეს.

ეს იყო მსოფლიო ჩემპიონის რიგით მესამე გამარჯვება ამ ტურნირში.

ᲥᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲖᲔ

ამ დღეებში ავჭალაში სტარტი მიეცა ამიერკავკასიის წიათელროშოვანი საბჭოთა ოლქის კროსმენთა ტურნირს გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ თასზე.

გრძელ მანძილებზე რბენა, როგორც ცნობილია, საბჭოთა-გამოყენებითი ხასიათისაა. ამიტომაც მას არმიელ სპორტსმენთა შორის დიდი ყურადღება ექცევა.

ბრძოლა პირველობისთვის საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ქალთა 2-კილომეტრიანი კროსი მოიგო სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლ. დენისოვამ, იუნიორები 3-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. მანძილი ყველაზე სწრაფად სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ზ. ქავზინაძემ დაფარა. 8 კილომეტრზე რბენა — ასპარეზობის მთავარი სახეობა — მოიგო გ. ნესტერენკომ.

სულ მალე გამარჯვებული სპორტსმენები საკავშირო კროსში მიიღებენ მონაწილეობას. ეს შეჯიბრება უქგოროდში გაიმართება.

ბ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.

ᲬᲐᲠᲬᲚᲘᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ!

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის ბავშვებს გაკეთებული გვქონდა ფეხბურთის მინდორი, სადაც სხვადასხვა უბნის გუნდები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მოედანი კარგად იყო ძოწყობილი. ეს ადგილი ეკუთვნის მეზობლად ძღებარე სოფელ საქასრიის კოლმეურნეობას. მას არც ადრე იყენებდნენ და არც ახლა ვარგისი სხვა რამისთვის, გარდა ფეხბურთის მოედნისა, მაგრამ გამოჩნდა ისეთი უგულო ადამიანი, როგორც არის სოფელ საქასრიის კოლმეურნეობის ერთ-ერთი თავკაცი, რომელმაც მოთხარა ჩვენს მიერ დამაგრებული ძელები და წყალში გადაუშვა.

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ დაგვეხმაროთ!

ბ. ციცქიშვილი.



ბილიკი — დიდ გზაზე

ზაურ გვაძაბია, ალექსანდრე ჩაჩუა და ვლადიმერ მეტკინი (მესაპე) უკვე სამი წელია ახალგაზრდა მწვრთნელის ა. ჩხეიძის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ნიჩბოსნობის საიდუმლოებას. წლეულს ფოთელმა ჭაბუკებმა პირველი დიდი გამარჯვება იზეიმეს: მოიგეს საქართველოს პირველობა ნიჩბოსნობაში და ზონალური ასპარეზობის საგზურები მოიპოვეს.

მწვრთნელი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია თავისი მოწაფეების შემართებით და დარწმუნებულია, რომ ეს ტრიო, რომელიც მუყაითი შრომით დღითიდღე აუმჯობესებს შედეგებს, თავს მომჯავალ საკავშირო პირველობებშიც ისახელებს.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის ემზადება ა. ჩხეიძის კიდევ ოთხი მოწაფე — თ. მგელაძე, თ. ცინცაძე, ა. არჩაია და ლ. მესხი.

* * *

სურათზე: ა. ჩხეიძე ვარჯიშის წინ მითითებას აძლევს ზ. გვაძაბიას, ა. ჩაჩუას და ვ. შეტკინს.

თ. გაჩეჩილაძის ტექსტი და ფოტო.

მუშაობის გაუმჯობესებისთვის

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში მოისმინა საკითხი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე გატარებული მუშაობის შედეგებზე წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზისა და შემდგომი ამოცანების შესახებ“.

აღინიშნა, რომ „განთიადის“ ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს წლევანდელი ექვსი თვის მანძილზე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულებისთვის.

1974 წლის 1 იანვრის მდგომარეობასთან შედარებით გაიზარდა ფიზკულტურელთა და საზოგადოების წევრთა საერთო რიცხვი, იმატა საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რაოდენობამ, საკმაოდ კარგი მდგომარეობაა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების შესრულების მსრივ. დღეისთვის მომზადებულია 17 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ანუ წლიური გეგმის 80—85 პროცენტი, 253 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი სპორტსმენი, რაც 45 კაცით მეტია შარშანდელი წლის ამავე პერიოდის მონაცემზე, 12280 II, III და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი ანუ წლიური გეგმის 70—75 პროცენტი. საზოგადოების ხაზით სულ რესპუბლიკაში ექვსი თვის მანძილზე მომზადებულია 14000-ზე მეტი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, რაც წლიური გეგმის 30 პროცენტს აღწევს. ასევე ერთგვარი მუშაობაა ჩატარებული საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების, აღზრდისა და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი სწორად გამოყენებისთვის.

ამ მსრივ შედარებით კარგად მუშაობენ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ზესტაფონის (საბჭოს თავ-რე დ. ღავთაძე), ხაშურის (ნ. ქურდაძე), ონის (ა. მაისურაძე), ჭიათურის (ს. ჩხვიძე), გურჯაანის (მ. დურგლიშვილი) და თბილისის რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები. მაგრამ პრეზიდიუმმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ, მიუხედავად საზოგადოების მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობისა, გეგმის შესრულების საქმეში „განთიადის“ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ.

უპირველეს ყოვლისა აღინიშნა, რომ საზოგადოების საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის დღევანდელი ტემპი სრულიად არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რაც დასახა „განთიადის“ ძეექვსე რესპუბლიკურმა კონფერენციამ ფიზკულტურისა და სპოორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მარკეტინგების ოთხ წელიწადში შესრულებისთვის, რომ საზოგადოების ვიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის დღევანდელი სტილი და ხარისხი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს კომპაოტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასმული პრობლემების დადებითად გადაჭრას.

ფიზკულტურული ორგანიზაციებს შეეთანხმა ცხადყო, რომ „განთიადის“ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ტყიბულის, გორის, ზუგდიდის, თერჯოლის, რუსთავის, სხვა რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულ კოლექტივებში უხეირო მუშაობის შედეგად ჭიოს მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების შესრულება.

აჭარაში, სადაც გეგმით საეი სპორტის ოსტატი, 58 პირველთანრიგოსანი და 180 ძეორე თანრიგოსანი უნდა მომზადდეს, დღეისთვის ძალიან ცოტაა გაკეთებული. ქუთაისში რვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი უნდა მოემზადებინათ, მაგრამ არც ერთი არ მოუმზადებიათ. ძეორე და მესამე თანრიგოსნების მომზადების გეგმა 40 პროცენტითაც არ არის შესრულებული. რუსთავში ექვსი თვის მანძილზე მომზადებულია მხოლოდ 67 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, თუმცა გეგმა 1653-ს ითვალისწინებს. ცცხეთაში, წულუკიძეში, ახალციხეში, ზუგდიდის რაიონში და სხვაგან, სადაც გეგმით 80-100 მესამეთანრიგოსანი უნდა მოამზადონ, დღემდე ერთი ნიმეოსანიც არ მოუმზადებიათ.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმის შესრულებაშიც. ამ მსრივ ძალიან ჩაძორჩეს ფოთის, წყალტუბოს, ცხაკაიას და თბილისის მთელი რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები. „განთიადის“ აფხაზეთის (საბჭოს თავ-რე ხანგულია) ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლეულს გეგმით უნდა ძოამზადონ 1450 საზოგადოებრივი და სხვა ფიზკულტურული მუშაკი, მაგრამ ექვსი თვის მანძილზე მხოლოდ 500-მდე კაკი ჰყავთ მომზადებული. აჭარაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 924-სა, დღეისთვის მომზადებულია 300-მდე საზოგადოებრივი მუშაკი. სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციებს ამ მსრივ გეგმა 30 პროცენტითაც არა აქვთ შესრულებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ორგანიზაციებში და ბევრ სხვა კოლექტივში მომზადებული კადრები ნაკლებად არიან ჩაბმული პრაქტიკულ საქმიანობაში.

განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობა, კერძოდ კი საწარმოო ტანვარჯიში. ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა „განთიადის“ სამხრეთ ოსეთის, ჭიათურის, ტყიბულის, ბორჯომის, თელავის, კასპის, ზუგდიდის, საგარეჯოს და სხვა რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

ბორჯომში, სადაც მსხვილი საწარმოო ორგანიზაციებია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000 კაცისა, საწარმოო ტანვარჯიშში მხოლოდ 161 კაცი მეცადინეობს. თელავში ამ გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში გათვალისწინებულის 45 პროცენტიც კი არ არის ჩაბმული.

საზოგადოების წევრთა და ფიზკულტურელთა რიცხობრივი ზრდის გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან ტყიბულის, თელავის, მცხეთის, ახალციხის, მარნეულის, მახარაძისა და გორის ფიზკულტურული ორგანიზაციები. ზემოთ დასახელებული რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებს 6 თვის მანძილზე ერთი კაციც კი არ მიუღიათ საზოგადოების რიგებში, ხოლო ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა იმავე დონეზე დარჩა.

„განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ კოლექტივების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ორგანიზაციულად განუმტკიცებელია. არ ტარდება ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა, არ ეწყობა სპორტული ღონისძიებები, არ ამზადებენ მშდ კომპლექსის ნიშნოსნებსა და თანრიგოსნებს, არაფერი კეთდება მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისთვის. ეს ყოველივე კი ნიშნავს, რომ „განთიადის“ საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოები, ადგილობრივი პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები სათანადოდ ვერ ეხმარებიან და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ცალკეულ კოლექტივებს.

პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო დადგენილება და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. პრეზიდიუმმა ე. ნაჭყებიას („განთიადის“ ზუგდიდის რაისაბჭოს თავ-რე), შ. დალაქიშვილს (თელავი), ნ. მექვაბიშვილს (ახალციხე) და ნ. ბოჭორიშვილს (ტყიბული) გამოუცხადა საყვედური, ხოლო რიგი საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს მიუთითა სუსტი ხელმძღვანელობისთვის. მასსობრივი ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დასაყენებლად, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლების შესრულების საქმეში ჩამორჩენის საღლიკვიდაციოდ მათ მიეცათ სამი თვის ვადა. საჭიროა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დროულად განსორციელონ დასახული ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიერ მათს წინაშე დასახული ამოცანების შესრულება.

ტ. კიკნაველიძე,
საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განაწილების გამგე.

ეროვნული სკოლიდან

ორჯონიკიძე

ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონული პირველობა ეროვნულ და გამაჯანსაღებელ სპორტში. ძალოსანთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ნ. ლურსმანაშვილმა (თეთრაწყარო). მანვე იმარჯვა ქართულ ჰიდაობაში. ღერძზე მიზიდვაში ყველას აჯობა 14 წლის ტ. მდინარაძემ (დაბა), ბურთის გდებაში — ა. შეელიძემ (ფარცხნალი). ლახტში იმარჯვეს თეთრაწყაროელებმა, ბაგირის გადაძლევაში — ფარცხნალის ნაკრებმა. დვირიდან ჩამოგდებაში უძლიერესი იყო ფ. ვეფხვაძე (ლელვანი). კალათბურთელთა ასპარეზობა მოიგო დაბის გუნდმა. საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თეთრაწყარო, დაბა, ფარცხნალი.

ა. მაღრაძე,
„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

„ცაცა“ ბავშვების-ბავშვებისა

„სიყალბეს ფარდა ეხდება“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 27 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო მშდ კომპლექსის მრავალჯერ თბილისის პირველობის მონაწილეთა დაბალ შედეგებზე.

როგორც რედაქციას თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ო. კალაძემ აცნობა, შეჯიბრებაში მოუმზადებელი გუნდების გამოუვანისთვის კალინინისა და კიროვის სახელობის რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს დ. ჯალაღანიასა და ე. გაჩეჩილაძეს დაედოთ სასჯელი.

ეროვანი თაობის უკეთ აღზრდისთვის

პოპულაციის ზრდას თან მოაქვს ბევრი ახალი პრობლემა. სოციალური გარემოს ცვლასთან და გართულებასთან ერთად რეალურად დგება ადამიანის, პროფესიონალის, მეცნიერის, საერთოდ ამა თუ იმ დარგის მოღვაწის ფიზიკური ჯანმრთელობის განმტკიცების საკითხი, რაც დღევანდელი სწრაფი ურბანიზაციის პირობებში განუყოფელია სპორტისგან. თუ უწინ მეცნიერებს ხანგრძლივად შეეძლოთ მოღვაწეობა სპორტის დაუსმარებლად, დღეს ეს თანამედროვე დიდ ქალაქებში, ზემოაღნიშნული რთული პირობები გამო, შეუძლებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც სულ უფრო პოპულარული ხდება ეგრეთ წოდებული გამაჯანსაღებელი სირბილი.

სადღეისოდ დადგენილია ნეიროენდოკრინული სისტემის უდიდესი როლი ადამიანის ცხოვრებაში, სხვადასხვა დატვირთვისადმი სხეულის ადაპტაციური რეაქციების გამომუშავებაში და მთლიანად ორგანიზმის ადაპტაციაში. ხოლო თავისთავად ამ წრთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტს. ამ უკანასკნელთან უშუალო კავშირშია ორგანიზმის ჟანგვაღდგენითი პროცესები, ნივთიერებათა ცვლა, კუნთების, სისხლძარღვებისა და ნერვული სისტემის ტონუსი. გარდა ამისა, სპორტული ვარჯიშის დროს ხდება დიდი გონებრივი მუშაობით გადაღლილი ტვინის ნეირონების მაქსიმალური განტვირთვა.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდა გულისხმობს ადამიანის ორგანიზმის, კერძოდ კი მისი ნერვული სისტემის ტონუსისა და გამძლეობის ამაღლებას. ორგანიზმის შეგუებითი რეაქცია, გამომუშავებული სპორტის მეშვეობით, იძლევა უდიდეს კომპენსაციას უკანასკნელის ნაირსახოვანი დატვირთვის, კონცენტრირებული და შრომატევადი ინტელექტუალური მუშაობის დროს.

ამასთან, მეცნიერებაში დადგენილია მოზარდი ორგანიზმის თითქმის განუსაზღვრელი კომპენსატორული საშუალებანი. ზემოთქმულიდან სავსებით ცხადია, რომ სწორედ ბავშვობის ასაკიდან უნდა დაიწყოს ორგანიზმის წრთობა და მისი ჰარმონიული განვითარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ასპექტში ჩვენ უადრესად დროულად მიგვაჩნია ლ. ცაგარლის წერილი „ფიზიკური კულტურა და მოსწავლე“, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ლელოს“ ფურცლებზე. ავტორი ლოგიკურად ვსამს მოსწავლეთა გონებრივ და ფიზიკურ აღზრდას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის საკითხს. მოსწავლის გონებრივმა მუშაობამ, მისი ცენტრალური ნერვული სისტემის გადატვირთვამ მოზღვავებული ინფორმაციით გადააჭარბა ბავშვის ფიზიკურ მომზადებას. ამიტომ მართებულია ავტორის აზრი, რომ საჭიროა შექმნილი კონფლიქტი განეიტრალდეს ინფორმაციის რაციონალიზაციით ამ უკანასკნელის შეზღუდვით მოსწავლეთა უნარიანობისა და მიდრეკილების შეფასებიდან გამომდინარე მომდევნო სპეციალიზაციით. მეორე მხრივ, ავტორი მართებულად გვირჩევს სკოლებში ფიზიკური კულტურის (ანუ განტვირთვის) საათების რაოდენობის მომატებას.

მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ სკოლებში გავზარდოთ არა ფიზიკურად უღლური „ვუნდერკინდები“, არამედ მაღალი გონებითა და ფიზიკური ძლიერებით შემკობილი ადამიანები. გასაგებია, რომ თანამედროვე პირობებში სწორედ ასეთ ადამიანებს ექნებათ შეუპოვარი და დაუოკებელი, ხანგრძლივი ენერგია, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ყოველ სფეროში სერიოზული მუშაობისთვის.

რაციონალიზაციის ძირითადი გზები, შემოთავაზებული ავტორის მიერ, სავსებით მიზანშეწონილად მიმაჩნია.

გ. დანელია,
რესპუბლიკური სამეანო-გინეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიური ლაბორატორიის გამგე, რესპუბლიკის მთავარი პატომორფოლოგოსი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

სსრ კავშირის კირველობა



გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ (მ.)	19	11	6	2	38—18	28
„დინ.“ (კ.)	19	11	6	2	26—12	28
„ქაირათი“	19	9	6	4	25—19	24
„ჩერნომ.“	19	9	5	5	42—29	23
„ზენიტი“	19	9	5	5	34—26	23
„სპარტაკი“	19	10	3	6	23—17	23
„ტორპედო“	19	6	9	4	24—15	21
„შახტიორი“	19	8	4	7	27—18	20
„ფახთაქ.“	19	6	7	6	28—32	19
„ნისტრუ“	19	6	5	8	34—39	17
ცსკა	19	4	7	8	24—28	15
„არარატი“	18	3	9	6	19—25	15
„დინამო“ (თბილისი)	19	5	5	9	19—31	15
„კარპატი“	18	4	4	10	14—28	12
„დნეპრი“	19	1	9	9	13—30	11
„ზარია“	19	1	6	12	11—36	8



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	25	14	5	6	47—22	33
„სკა“ (დონის როსტოვი)	26	12	8	6	38—25	32
„ნეფტჩი“ (ბაკო)	25	12	7	6	32—19	31
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	26	12	6	8	39—29	30
„დინამო“ (მინსკი)	25	12	6	7	36—27	30
„კუზბასი“ (კემეროვო)	25	13	4	8	32—29	30
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	25	12	4	9	44—31	28
„ტორპედო“ (ქუთაისი)	25	9	8	8	22—24	26
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	26	11	4	11	30—39	26
„შინნიკი“ (იაროსლავლი)	25	8	9	8	30—30	25
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	26	8	9	9	24—27	25
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	26	9	7	10	27—32	25
„ზვეზდა“ (პერმი)	26	9	7	10	35—41	25
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	24	8	7	9	25—29	23
„სპარტაკი“ (ივანო ფრანკოვსკი)	26	5	12	9	25—29	22
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	25	7	8	10	26—33	22
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	25	6	8	11	23—30	20
„უზბანი“ (კრასნოდარი)	26	6	8	12	37—50	20
„პამირი“ (დუშანბე)	22	5	9	8	23—25	19
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	25	3	6	16	20—44	12

უმისამართო პრეტენზიები

„არარატის“ ფეხბურთელთა ტურნე ოკეანის გადმა ჩაიშალა და მისმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სხვისთვის დაებრალებინათ ეს ამბავი. „არარატის“ გუნდს 15-31 აგვისტოს რამდენიმე მატჩი უნდა გაემართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სტადიონებზე. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ვერ წავიდნენ ტურნეში. და აი, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა ლოს-ანჯელესიდან მაშინვე გადმოსცა ტურნეს ორგანიზატორთა ვიღაც წარმომადგენლის განცხადება: ჩვენმა ზარალმა 250 ათასი დოლარი შეადგინა და ვაპირებთ სასამართლო სარჩელი აღვძრათო „არარატის“ წინააღმდეგ მრავალ(?) მილიონ დოლარზე...

თავი დავანებოთ ამ სასაცილო სურვილს, რომ ხელში მოიგდო კომპენსაცია, რომელიც რამდენიმე ათეულჯერ აღემატება ბილეთების გაყიდვით მოსალოდნელ შემოსავალს. ვილაპარაკოთ საქმის არსზე.

12 აგვისტოს დილით, როცა ფეხბურთელები უკვე ემზადებოდნენ მოსკოვიდან გასაფრენად, ტურნეს იმპრესარიო ბ. ლანტაცისგან მოვიდა დეპეშა: „ტექნიკური მიზეზების გამო „არარატის“ მიღება 21 აგვისტომდე არ შეგვიძლია“. იმავე დღეს მისმა თანამშრომელმა ტელეფონით გადმოსცა გუნდის გამოსვლების ახალი პროგრამა: ხუთი მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში 23 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

„არარატის“ ხელმძღვანელებმა ჩააბარეს 14 აგვისტოსთვის აღებული თვითმფრინავის ბილეთები და სცადეს ბილეთების შეძენა 21 რიცხვისთვის. ეს ვერ მოხერხდა, ვიხადან თვითმფრინავში ყველა ადგილი გაყიდული იყო. მაშინ გადაწყვიტეს ნიუ იორკში 22 აგვისტოს გაფრენილიყვნენ მონრეალის გავლით. მაგრამ აეროფლოტს გაფრენის დღის დილასაც კი არ მიუღია კანადიდან ცნობა მონრეალ-ნიუ იორკის რეისის თაობაზე. უფრო მეტიც, არ-მოსულა დადასტურება ნიუ იორკიდან მოსკოვში გუნდის დასაბრუნებლად რეისის თაობაზე. გუნდი იძულებული გახდა შინ დარჩენილიყო...

ახლა დავუბრუნდეთ ზარალს. ტურნეს ორგანიზატორები ჩივიან, მოსალოდნელი შემოსავალი ვერ მივიღეთო, აი „არარატი“ კი მართლაც დაზარალდა. გუნდის ფეხბურთელები იძულებული იყვნენ ორჯერ ტყუილად ეფრინათ ერევნიდან მოსკოვამდე და უკან. უკვე ეს ღირდა საკმაო თანხა! მაშ ვინ ვის უნდა წარუდგინოს სარჩელი?

ა. ბორბუნოვი,
(საკადესის კორ.).

პირველი მატჩები

კამენსკ-შახტინსკი, (ტელეფონით, ჩვენი სპეც კორ.). აქ დაიწყო მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური გათამაშება 6 გუნდს შორის. მონაწილეთა რიგებში არიან ბათუმის დინამოელებიც.

ბათუმელებმა თავიანთი პირველი შეხვედრა როსტოვის გუნდთან დაამთავრეს ფრედ — 1:1. ამავე ანგარიშით დამთავრდა ლვოვისა და მინსკის გუნდების შეხვედრა, ხოლო ბაქოელებმა მოუგეს კალინიუსის „ჟალგირისს“ — 4:0.

II ტურში ბათუმელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ლვოვის გუნდი. ეს გადამწყვეტი გოლი გაიტანა ჩაზმავამ. ამ ტურში როსტოველებმა მოუგეს ვილნიუსის გუნდს — 3:0, ხოლო ბაქოელებმა — მინსკელებს — 2:1.

იაპონელ ტანმოვარჯიშეთა „საიდუმლო“

თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟთა შედეგებს უკანასკნელ წლებში, ნათელი გახდება, რომ მათი ტექნიკური მომზადების დონე საკმაოდ აძაღლდა. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ტანმოვარჯიშეთა აკრობატული მომზადება. ძაგალითად, სამოციან წლებში მაღალი კლასის სპორტსმენი ნებისმიერ ვარჯიშებში იშვიათად იყენებდა ჩვეულებრივ მალაყს ორძელზე, ან კიდევ დერძსა და რგოლებზე კომბინაციის დამთავრებისას. ახლა ერთმაგი მალაყი იშვიათი გახდა. თანამედროვე ტანმოვარჯიშეები, როგორც წესი, ორმაგი ძალაყით ამთავრებენ შეტად რთულ ვარჯიშს და ხშირად სხვადასხვა სახის ბრუნვებსაც კი უმატებენ. ისეთ „კვიმატ“ იარაღზე, როგორიცაა ტაიჭი, ტანმოვარჯიშეს აღარ უმძიმს მისი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა და ყოველივე ეს ხდება ურთულესი მოვლებისა და ბრუნების საშუალებით. ენით აუწერელია თავისუფალ ვარჯიშში ჩართული აკრობატული მოძრაობები. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მაყურებელი, რა თქმა უნდა, ვერ გააანალიზებს იმას, თუ როგორ შესრულა სპორტსმენმა ასეთი ვირტუოზული ილეთი. შეიძლება ბევრი რამ ითქვას ბჯენით ხტომებზეც, რგოლებზე შესრულებულ აღმატრიალებსა და უჩვეულო ბჯენებზეც, მაგრამ ჩვენი წერილის მიზანი სულ სხვაა.

სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, ბევრმა სპორტის მოყვარულმა ნახა ტელევიზიით. ამ შეჯიბრების მონაწილე საბჭოთა ქალების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ კომენტარს აღარ საჭიროებს. რამდენიმე წლის წინათ იგივე შეიძლებოდა გვეთქვა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟების შესახებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ლენინგრადში იაპონელთა შორის მხოლოდ ერთი ტანმოვარჯიშე იყო ტიტულოვანი, მაგრამ მათ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. რით შეიძლება აიხსნას იაპონელ ვაჟთა ასეთი კოსმოსური ხისწრაფით ზრდა? აი, ამის შესახებ გვინდა ვისაუბროთ ამ წერილში.

ტანმოვარჯიშის მზადებაში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი პუნქტები: მომზადების ორგანიზაცია და მისი მართვა; წვრთნის მეთოდიკა, რომელიც თავის მხრივ იყოფა ფიზიკურ, ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებად (აქვე შეიძლებოდა აღგვენიშნა სპორტსმენის ჰიგიენაც, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ წვრთნის პროცესში და აქტიური დასვენების პერიოდშიც). რაღა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილ საკითხებს საბჭოთა ტანვარჯიშის მოწინავე სპეციალისტები და მწვრთნელები დიდ ყურადღებას აქცევენ. შექმნილია სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები, მწვრთნელთა საბჭოები და სხვა, სადაც სისტემატურად ხდება ტანმოვარჯიშეთა წვრთნისა და შეჯიბრებების შედეგების ანალიზი, მეცნიერული დაკვირვების ქვეშაა ყველა მოწინავე სპორტსმენი და ა. შ., მაგრამ არ იქნებოდა ზედმეტი, აღგვენიშნა, თუ ყოველივე ეს როგორ კეთდება იაპონიაში.

იაპონიაში ტანვარჯიში საერთო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. დაწყებით, საშუალო, უმაღლეს სასწავლებლებში ტანვარჯიში ფიზიკური აღზრდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ტანვარჯიშის ასოციაციას ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე პროფესორი კურიმიტო.

ტანმოვარჯიშეთა მომზადებაში მთავარი როლი საერთო მომზადების სკოლებს ენიჭებათ. ფიზიკური აღზრდის პროგრამის 50 პროცენტი მოდის ტანვარჯიშზე, დანარჩენი კი ეთმობა სპორტთამაშებსა და მძლეოსნობას. 6-11 წლის ბავშვები ეცნობიან ელემენტარულ მოძრაობებს, ვარჯიშებს კიდში, თავისუფალ ვარჯიშებსა და ხტომებს. მოსწავლეები კვირაში 3 საათს მეცადინეობენ. საშუალო სკოლაში ბავშვების (12-14 წლისანი) ფიზიკური აღზრდა შედარებით რთულია, კვირაში სამ საათს მეცადინეობის გარდა ბავშვები გაერთიანებული არიან ტანვარჯიშულ კლუბებში. ამ ეტაპზე მეცადინეობენ ძირითადად აკრობატიკაში, თავისუფალ ვარჯიშებში, ბჯენითს ხტომებში, ასრულებენ ელემენტებსა და ნაერთებს ღერძზე, ხტუნაობენ ბატუტზე. მათ ეძლევათ საშუალება „ითამაშონ“ ტანვარჯიშში იმდენი, რამდენიც სურთ. ასეთი მიდგომა ბავშვებში იწვევს ტანვარჯიშის დიდ სიყვარულს.

მეცადინეობის პროგრამა შედგენილია იმ აზრით, რომ ბავშვი პირველ ყოვლისა დაინტერესდეს ტანვარჯიშით და შეუყვარდეს იგი, მრავალჯერადი განმეორების შედეგად ელემენტები სრულყოფილად შეასრულოს. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას შედარებით რთული მოძრაობის შესრულების უფლება. შეჯიბრებები ტარდება მხოლოდ სკოლებში. ყველაზე დიდი მასშტაბის ასპარეზობაა 12-14 წლის ბავშვებისთვის საერთო განათლების სკოლებს შორის მოწყობილი შეჯიბრება, სადაც სრულდება მხოლოდ და მხოლოდ სავალდებულო ვარჯიშები. რაც ყოველ 3 წელიწადში ერთხელ იცვლება. ასეთი სახის შეჯიბრება წელიწადში იმართება არა უმეტეს ორისა. პროგრამაში შედის, აგრეთვე, საერთო ფიზიკური მომზადების განმსაზღვრელი ვარჯიშები.

იაპონიაში ყოველწლიურად ტარდება საშუალო სასწავლებლების პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ საშუალო სკოლებში გამარჯვებულები. გუნდურ ჩათვლაში ოთხი მონაწილის მაჩვენებლებიდან ცალკეული იარაღების მიხედვით მხოლოდ სამის შედეგები შედის, ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობა არ ტარდება, მაგრამ ამის შემდეგ დამატებით ეწყობა შეჯიბრება აკრობატიკაში.

იაპონიაში მოსწავლეთა შეჯიბრება ტანვარჯიშში სამი პროგრამით ტარდება: დაწყებითი (6-11 წელი), საშუალო (12-14) და უფრო მაღალი ტიპის სკოლების (15-17 წელი) მოსწავლეებისათვის. ასეთი სისტემა იძლევა საშუალებას, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი 18 წლის ახალგაზრდა სავსებით მომზადებული იყოს საერთაშორისო პროგრამის ასათვისებლად.

როგორც წესი, მოზარდები, რომლებიც შედარებით მაღალ სპორტულ დონეს მიაღწევენ, ფიზკულტურის ინსტიტუტში ან კიდევ ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე ეწყობიან.

დიდი ყურადღება ექცევა ტანვარჯიშს უმაღლეს სასწავლებლებშიც. ამ მხრივ პირველ ადგილზეა ნიპონის ფიზიკური აღზრდის კოლეჯი, რომლის პრეზიდენტია იაპონიის ტანმოვარჯიშეთა ასოციაციის თავმჯდომარე პროფესორი კურიმიტო. ამ სასწავლებლის სპორტულ კლუბში 400 წევრია. აქედან 100 ტანმოვარჯიშე კოლეჯის ნაკრების წევრობის პრეტენდენტია. ნაკრების წევრთა რაოდენობა მხოლოდ 6 სპორტსმენით განისაზღვრება. ამ კოლეჯმა იაპონიას აღუზარდა მსოფლიოში საუღლანთქმული ტანმოვარჯიშეები: იამასიტა, აიხარა, ვატანაბე, კენმოცუ, ცუკაჰარა, აიბი, კონიში და სხვ.

იაპონიის ტანვარჯიშის სპეციალისტთა აზრით, ტანმოვარჯიშის, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბების დასაწყისი სტუდენტური წლებია. ამიტომაა, რომ იაპონიაში ყველაზე საპასუხისმგებლო და საინტერესო ასპარეზობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის იმართება. აქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით კომპლექტდება ქვეყნის ნაკრები გუნდი.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველა უმაღლესი სასწავლებლის ტანმოვარჯიშებს შეუძლიათ. რაოდენობა (12) განსაზღვრულია მხოლოდ პირველ ორ ჯგუფში. მეორე და მესამე ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ავტომატურად ცვლიან პირველ და მეორე ჯგუფებში უკანასკნელ ადგილებზე დარჩენილებს.

გარდა ამ ასპარეზობისა, 18 წლისა და უფროსი ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობენ ქვეყნის ღია შეჯიბრებებში, რომლის სავალდებულო პროგრამაც ოდნავ სუსტია საერთაშორისოზე.

როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, იაპონიაში ტანმოვარჯიშეთა მომზადების ასეთი ორგანიზაცია გამართლებულია: ის, რომ ტანვარჯიშში სისტემატურ მეცადინეობას მხოლოდ 12 წლის, ხოლო მრავალჭიდის ყველა სახეობაში ვარჯიშს 15 წლის ასაკში იწყებენ, სრულიადაც არ უშლით ხელს იაპონელ ვაჟებს, რომ 21-23 წლის ასაკში მსოფლიოში ყველაზე სერიოზულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილებისთვის იბრძოლონ. მაგალითად, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სავაო კატოც კმარა. მან ტანვარჯიშში მეცადინეობა სკოლაში დაიწყო 12-13 წლისამ. ნაკაიამამ 13 წლისამ დაიწყო ვარჯიში, 23 წლისამ კი მსოფლიო პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა. კენმოცუ 15 წლისა იყო, შეჯიბრებაში პირველად რომ გამოვიდა, 22 წლისამ კი მსოფლიოში საუკეთესო ტანმოვარჯიშის სახელი მოიხვეჭა. 1970 წელს მსოფლიო პირველობის წინ ჩატარებულ შესარჩევ შეჯიბრებაში ტანმოვარჯიშეთა ასაკი 22-დან 29 წლამდე მერყეობდა.

თ. სანეგლიძე.

მოტოგზური.

ფ. გელაშვილის ფოტო

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲜᲒᲐᲠᲯᲘᲝᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘ

ᲖᲣᲗᲘ ᲩᲔᲠᲘᲡ ᲣᲔᲛᲓᲔᲒ

ჭადრაკში საკავშირო თასის გუნდური გათამაშების 4 ტურის შემდეგ მოუწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

III ტურის საბოლოო შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" — 5,5:3,5 (მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანის შეხვედრაში სპასკიმ მოახერხა ყაიმით დაეთავრებინა მძიმე პოზიციაში გადადებული პარტია), „ბურევესტნიკი" — „დუგავა" — 6,5:2,5, „ტრუდი" — ცსკა 6:3 (ვ. ცეშკოვსკიმ დაამარცხა დიდოსტატი ე. გელერი), „მოლდოვა" — „ზენიტი" — 5,5:3,5 (ვ. ჩებანენკომ დაამარცხა დიდოსტატი ი. ავერბახი), „დინამო" — „ავანგარდი" 4,5:3,5 (ერთი პარტია კვლავ გადადებულია).

IV ტურის ყველა მატჩი დამთავრდა. „ტრუდმა" ამ შეჯიბრებისთვის სარეკორდო ანგარიშით — 8,5:0,5 — მოუგო „მოლდოვას" (ცეშკოვსკიმ დაამარცხა ჩებანენკო), „ბურევესტნიკი" — ცსკა — 3,5:5,5 (მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა წააგო გელერთან), „ლოკომოტივი" — „დუგავა" — 4,5:4,5, „ზენიტი" — „დინამო" — 3:6 (დიდოსტატები ავერბახი და დ. ბრონშტეინი ყაიმზე შეთანხმდნენ), „ავანგარდი" — „სპარტაკი" — 3,5:5,5 (დიდოსტატმა გ. კუზმინმა წააგო პეტროსიანთან).

შედგა V ტური. „სპარტაკისა" და „დუგავას" შეხვედრაში ყურადღების ცენტრში მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის შეხვედრა იყო. 23-ე სვლაზე ლამაზად გაიმარჯვა ტალმა. აქ ჯერჯერობით ანგარიშია 4:3 „სპარტაკის" სასარგებლოდ (2 პარტია გადადებულია).

ცსკა-ს და „ლოკომოტივის" შეხვედრაში არმიელები დიდი ანგარიშით იგებენ — 6,5:0,5 (2).

შეჯიბრების ლიდერი „ტრუდი" მშრალი ანგარიშით აგებს „დინამოსთან" — 0:4 (5).

„ბურევესტნიკმა" მოუგო მატჩი „მოლდოვას" — 5:1 (3), სულო „ავანგარდისა" და „ზენიტის" შეხვედრაში ანგარიშია 4,5:3,5 (1) „ავანგარდის" სასარგებლოდ.

5 ტურის შემდეგ „ტრუდს" 27 ქულა და 5 გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან „ბურევესტნიკი" — 25 (3), ცსკა — 24 (2), „სპარტაკი" — 24 (2).

● ●

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲐᲨᲘ

პოლონეთის ქალაქ პოლიანიცაზდრუეში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც გაიმარჯვა საბჭოთა ოსტატმა კარასიოვმა. მან 15 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა და დიდოსტატის ნორმაც შეასრულა. III-IV ადგილები გაიყვეს საბჭოთა დიდოსტატმა სუეტინმა და კუბელმა გარსიამ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲜᲘ

ლენინგრადის „კრასნაია ზარიასა" და კუიბიშევის „ტრუდის" ბალახის ჰოკეისტები გაისად გამოვლენ უმაღლესი ლიგის გუნდების ასპარეზობაში.

პირველ ლიგაში გამარჯვებულმა „კრასნაია ზარიას" კოლექტივმა დააგროვა 22 ქულა (9 მოგება, 4 ფრე, 1 წაგება) და მიიღო უმაღლესი ლიგის საგზური. აღსანიშნავია, რომ ლენინგრადელები მხოლოდ წლეულს გამოვიდნენ ბალახზე სათამაშოდ. ჩინებულად იასპარეზეს ამ გუნდის სპორტსმენებმა, რომლებმაც მეტოქეთა კარში 16 ბურთი გაიტანეს. ლენინგრადელებს წვრთნის გამოცდილი სპეციალისტი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. ენდუკარიანცი.

„ტრუდს" პირველი ჯგუფის გუნდებთან ასპარეზობაში დაუგროვდა 19 ქულა და უმაღლეს ლიგაში მან ორი გადასასვლელი მატჩი ჩაატარა კალინინგრადის „გიმპელთან".

პირველი მატჩი ლენინგრადელებმა მოიგეს — 2:0, მეორე — მათი მარცხით დამთავრდა — 0:1. ბურთების უკეთესი სხვაობით უმაღლესი ლიგის საგზური „ტრუდმა" მიიღო.

1971, 1973) წლებში რჩებოდა.

საჯალდებულო პროგრამის შესრულებისას თავიდან კლიმენკოს სწყალობდა ბედი. მაგრამ თავისუფალ ვარჯიშშიც და ტაიჭზეც მან მხოლოდ 9,2 ქულა მიიღო, რის გამოც მთავარ მეტოქეს ახლა 0,6 ქულით ჩამორჩება. III—IV ადგილებს იყოფენ ა. მალეევი და ტრავმის შემდეგ მწყობრში დაბრუნებული ვ. მიქაელიანი (სომხეთი) — 55,95 ქულა თითოეულს.

ვილნიუსი, 28 აგვისტო. გუშინ ტურიშჩევა და კორბუტი „სკოლას" დაუბრუნდნენ — საჯალდებულო პროგრამას ასრულებდნენ და „ბეჯითი მოსწავლეებიც" აღმოჩნდნენ. მათ I ადგილი გაიყვეს: თითოეულს 37,9 ქულა ხვდა.

პირველივე იარაღზე — ორძელზე — კორბუტმა გაიმეორა დღის უმაღლესი შედეგი, რომელიც საქართველოს წარმომადგენელმა რ. სიხარულიძემ აჩვენა თავისუფალ ვარჯიშში — 9,65. ტურიშჩევას დვირზე მხოლოდ 9,3 ქულა ხვდა.

მაგრამ ოლიმპიადის, მხოფლიოს და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა შეძლო სხვაობის შემცირება. კორბუტს დვირზე 9,4 ქულა მქონდა, თავისუფალ ვარჯიშში — 9,85, ხტომაში (ჩათვლაში შედიოდა საუკეთესო შედეგი ორი ცდიდან) — 9,8 და 9,5. ტურიშჩევას შედეგები ასეთია: თავისუფალ ვარჯიშში — 9,7 (დღის საუკეთესო შეფასება), ხტომა — ორივეჯერ 9,8 ქულა, ორძელი — 9,6.

III ადგილზე გავიდა რ. სიხარულიძე — 37,4, IV — როსტოველი ს. გროზდოვი — 37,35, V — ნ. დრონოვი (თბილისი) — 37,25. ლ. გორბიკი (ბელორუსია) და მოსკოველი ე. საადი VI-VII ადგილებს იყოფენ — 37,2 ქულა თითოეულს. დრონოვამ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ტრავმისგან განიკურნა, და სწრაფად მზარდმა ტანმოვარჯიშემ გორბიკმა ზაფხულში I ადგილი გაიყვეს მოსწავლეთა სპარტაკიადაში. და აი, ისინი ახლაც ლიდერთა ჯგუფში არიან — უკვე ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში.

საადი დვირიდან ჩამოვარდა და მსაჯებმა მას სულ 8,85 ქულა მიჩაცეს. მაგრამ საოცრად პლასტიკურმა თავისუფალმა ვარჯიშმა ელვივრას, ისევე როგორც მანამდე ტურიშჩევას, დღის უმაღლესი შეფასება მოუტანა — 9,7. ამის წყალობით საადი ლიდერთა ჯგუფში დარჩა.

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა გუნდურ ჩათვლაშიც. „სკოლის" შემდეგ ლიდერობენ ბელორუსიელი ქალიშვილები — 185,8. ამ გუნდს ახლა ოლიმპიური ჩემპიონი თ. ლაზაკოვიჩი წვრთნის. ბელორუსიელთა კოლექტივს კვალში მიჰყვება რსფსრ-ს ნაკრები — 185,2. III ადგილზე არიან მოსკოველები — 183,1.

საერთო ჩათვლაში პირველობენ ბელორუსიელები.

ხ. ᲕᲐᲘᲜᲒᲠᲐᲣᲒᲐᲡᲘ,
Თ. ᲓᲖᲝᲠᲩᲝᲕᲘ.
(ხაკდესის კორ.).

შეწყვეტილი მატჩი...

ვ. ბოგაძის ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲠᲘᲗᲐᲜᲐᲠᲘᲗ

✦ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲣᲚᲘ

ადგილობრივ სტადიონზე ჩატარდა VI რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ლელობურთში, რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა. გაიმარჯვა სოფელ ხაბუმის სასოფლო საბჭოს გუნდმა.

• •

სამ დღეს გაგრძელდა რაიონული შეჯიბრება ტყვიის სროლაში. 25 მეტრზე სროლაში გაიმარჯვა რაისაბჭოს აღმასკომის საპროექტო ჯგუფის ინჟინერმა დ. ჟვანიამ, მასვე დარჩა გამარჯვება 50-მეტრიდან სროლაშიც.

• • •

სოფელ მუხურის სპორტულ მოედანზე ორ დღეს გაგრძელდა VI რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. გაიმარჯვა ლესიჩინეს სასოფლო საბჭოს გუნდმა.

ხ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲒᲕᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘ ᲕᲔᲚᲣᲠᲔᲑᲘ

დირექტორმა განკარგულება გასცა — ფიზკულტურის მეთოდისტი სასწრაფოდ აქ მომგვარეთო.

ფიზკულტურის მეთოდისტი ხალხმელი ახალგაზრდა კაცი იყო. იგი უმალ დირექტორის კაბინეტის ზღურბლთან გაჩნდა, მორიდებით შეაღო კარი და უფროსის შორიახლოს აიტუზა.

დირექტორს თავისი ფიგურის შესაფერი მაგიდა ედგა. მისი ღიპი ისე ზუსტად იყო შესული ახალმოდური, მაგიდის შეზნექილ ნაწილში, როგორც მისთვე საკუთარი „ვოლგა" — გარაჟში.

— ბიჭო, შენი ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა, — დაიწყო დირექტორმა. — გაზეთები სულ იმ საწარმო-დაწესებულებების ქება-დიდებაში არიან, ვისი მუშა-მოსამსახურეებიც შაბათ-კვირას ბუნების წიაღში ატარებენ. განსაკუთრებით იმათ აქებენ, ვინც იმ შენს „ველურ" ტურიზმს მისდევს. ქოდა, არც ჩვენ გვაწყენდა დიფირამბები.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ ნება არ მოგვეცით, რომ ზურგსანთები, საძილე ტომრები, კარვები და სხვა ტურისტული აღჭურვილობა გვეყიდა, — მორიდებით უპასუხა მეთოდისტმა.

— კაცო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, — ბრაზი მოერია დირექტორს, — ეგ ფულის გადაყრაა და მეტი არაფერი.

— თუ ასეა, არაფერი გამოვა!

მეთოდისტის მტკიცედ ნათქვამმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა დირექტორი.

— ბიჭო, გამქირავებელ პუნქტს მიაკითხე, გამქირავებელს. ყველაფერი მე როგორ უნდა გასწავლოთ, — სანე გაებადრა უცებ დირექტორს, რაკი გამოსავალი მონახა.

— იქ საჭურველი არ ვარგა, უმეტესად დამპალი და დახეულია.

— როგორ, შენ არ იყავი, რომ მიმტკიცებდი, „ველური" ტურიზმი სასარგებლოაო? ქოდა, თუ „ველური" ტურიზმი გინდათ, მისმა მიმდევრებმა ყველაფერი უნდა აიტანოთ. დღესვე შეუდექით სამზადისს, შაბათ-კვირას ქალაქგარეთ მივდიგართ. მორჩა! თუძცა, არა, მოიცა, ეი, ეს მოსაწყენი ბარათები ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რადიოს და ტელევიზიას ჩაბარეთ. არც ერთი არ გამოგრჩეს. ხომ იცი, ყველამ უნდა გვაქოს.

მოსაწვევ ბარათებში დირექტორი წერდა: არიქა, გვეწვიეთ, ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებას ვატარებთ, რომელშიც ჩვენი კოლექტივის 300-მდე მუშა და მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობასო, ისინი ტურისტულ ესტაფეტაში და მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეეჯიბრებიან ერმანახეთსო.

... ქალაქგარეთ გაბუნებული კარვები გაიშალა, მართალია, 300 კაცის ძოგროვება ვერ მოხერხდა, მაგრამ არც 100-მდე ძმრომელის აქტიური დასვენებაა უმნიშვნელო საქმე. ცხადია, მათ კორესპონდენტებიც ეწკვიტენ.

ეს ამბავი ერთ-ერთი რედაქტორის დირექციამაც შეიტყო და თავისი ავტერიერთო მანქანა სხვა ხორაგთან ერთად უამრავი ღვინით, შამპანურითა და კონიაკით დატვირთული ააგრიალა ტურისტთა „ბრძოლის ველზე".

დამთავრდა ტურისტული ესტაფეტა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ზოგი შესწვდა ნორმატივებს, ზოგიც ვერა, მაგრამ ყველა მუშამ და მოსამსახურემ სიმხნევის მომატება იგრძნო.

ამასობაში დირექტორი თავისი ამალითურთ ქალაქიდან მანქანით ამოგრიალდა ტურისტებთან და დაიწყო შეჯიბრება პროგრამის მესამე სახეობაში — ღვინის სმაში.

... მეორე დღეს ტურისტთა „ნაქალაქარი" მართლაც ველურების ბრძოლის ველს ჰგავდა: გაკაფული ტყე, გაფანტული ნაგავი და ნაცარი, მოგრიალე კარვის ნაგლეჯები...

... დირექტორმა განკარგულება გასცა — ჩვენი ფიზკულტურის მეთოდისტი სასწრაფოდ აქ მომგვარეთო. იგი უმალ დირექტორთან გაჩნდა.

— ეს რა არის! — შეძახა განრისხებულმა დირექტორმა და მეთოდისტს ცხვირწინ აუფრიალა ერთადერთი გაზეთი, რომელშიც მათს შესახებ ფელეტონი იყო დაბეჭდილი, — ესეც შენი ტურიზმი!

დანარჩენ გაზეთებში ამ ტურისტული ლაშქრობის შესახებ წერილები არ დაბეჭდილა, რადგან კორესპონდენტებს თავი ტკივილისგან უსაფუძვლოდ.

Ა. ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲗ



უსიტყვოდ...

— ბიჭებო, გვირაბი ხომ არ შეგეშალა?

ნ. ჭელებსაშვილის ნახატები

რედაქტორის მოადგილე
ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე. გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინი".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფოლკლორული და მოსწავლეთა სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფიზიკურთის განყოფილება—99-81-71, 93-97-56, ჭიდრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამოშვება—93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ᲛᲜᲐᲓᲔᲚᲘ 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ᲣᲒ 04733